ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

გია ტაბლიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ქეთევან უტიაშვილი – კოლეგიის წევრი

ნინო მიქიაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – მ. ნ

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 30.01.2017

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 009/17

ადვოკატი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შემოტანილი – ადვოკატი ა. ბ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ა. ბ-თვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2017 წლის 30 იანვარს სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა მ. ნ-მ და მოითხოვა ადვოკატ ა. ბ-თვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატ ა. ბ-ს 2016 წლის 17 მაისს დადებული საადვოკატო მომსახურების წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე მომჩივანის ინტერესები უნდა წარმოედგინა 06 (ექვს) სამოქალაქო საქმეზე.

1.3 საჩივრის ავტორმა ადვოკატს იმავე დღეს გადასცა მომსახურებისათვის 500 (ხუთასი) ლარი, ხოლო ხელშეკრულების თანახმად, ადვოკატს საქმის დასრულების შემდეგ თითოეული დავიდან ამოღებული თანხის 10%–ს გადაუხდიდა.

1.4 საჩივრის ავტორის ინფორმაციით, ადვოკატმა მოიძია მოვალეები, რომელთანაც აწარმოებდა მორიგებას და ათანხმებდა პირობებს. ორ სამოქალაქო საქმეზე ადვოკატმა კლიენტს ურჩია სასამართლოსთვის მიმართვა, თუმცა მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ აქედან ერთ–ერთ საქმეს

საერთოდ არ სჭირდებოდა სასარჩელო წარმოება და პირდაპირ შეიძლებოდა ნოტარიუსთან სააღსრულებო ფურცლის აღება. ორივე საქმის სასარჩელო წარმოებისთვის ადვოკატმა კლიენტს 2016 წლის ივნისის თვეში გამოართვა სახელმწიფო ბაჟის სახით 80 (ოთხმოცი) აშშ დოლარი, კლიენტს უთხრა, რომ სარჩელი შეტანილი ჰქონდა, ხოლო მომჩივანმა 2017 წლის იანვარში გაიგო რომ ადვოკატს სარჩელები არ შეუტანია. შესაბამისად, ადვოკატმა კლიენტისაგან მიღებული თანხა გამოიყენა არამიზნობრივად.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ერთ–ერთ საქმეზე უთხრა, რომ საჭირო არ იყო სასარჩელო წარმოება, სააღსრულებო ფურცლის აღება შეეძლოთ ნოტარიუსისაგან, რომელიც მ. ნ-მ აიღო და გადასცა ადვოკატს. ადვოკატს მომჩივანის ინტერესები სააღსრულებო წარმოებაში უნდა წარმოედგინა. ადვოკატი მუდმივად იმიზეზებდა მოუცლელობას და სააღსრულებო ფურცელი დღემდე არ ჩაუბარებია აღსრულების ეროვნულ ბიუროში.

1.6 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატის წარმოებაში არსებულ ერთ-ერთ საქმეზე მოვალეს მისთვის უნდა გადაეხადა 550 (ხუთას ორმოცდაათი) აშშ დოლარი, აქედან 350 (სამას ორმოცდაათი) აშშ დოლარი ადვოკატის მეშვეობით მოვალემ დაუბრუნა, რაც შეეხება დარჩენილ თანხას ადვოკატი მუდმივად ეუბნებოდა კლიენტს, რომ მოვალეს სურდა ამ თანხის გადახდის ვადის გადაწევა. შემდეგ გაირკვა რომ მოვალეს ადვოკატისთვის გადაუხდია 200 (ორასი) აშშ დოლარი, რომელიც ადვოკატმა გამოიყენა მისი პირადი მიზნებისათვის და კლიენტისთვის დღემდე არ დაუბრუნებია.

1.7 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი უხეშად არღვევს ადვოკატთა პროფესიულ ეთიკას, რისთვისაც ითხოვს ადვოკატ ა. ბ-ის მიმართ დაიწყოს დისციპლინური წარმოება.

1.8 2017 წლის 06 მარტს საქმის განმხილველ კოლეგიას განცხადებით მომართა მ. ნ-მ, რომელმაც განმარტა, რომ ადვოკატ ა. ბ-ს შეუთანხმდა, ადვოკატი შეპირდა მისი სამართლებრივი დავების წარმოებას და მას ამ ეტაპზე ადვოკატის მიმართ პრეტენზია აღარ აქვს. ამის საფუძველზე განმცხადებელი ითხოვს რომ შეწყდეს ადვოკატ ა. ბ-ის მიმართ დისციპლინური წარმოება.

2. ადვოკატის პოზიცია:

2017 წლის 06 თებერვალს ეთიკის კომისიის აპარატის მიერ ადვოკატს სატელეფონო საშუალებით ეცნობა მის მიმართ შემოტანილი საჩივრის შესახებ და ადვოკატს საჩივარი თანდართულ მასალებთან ერთად მის მიერ მითითებულ მისამართზე ფოსტით გაეგზავნა. ადვოკატს საფოსტო გზავნილი ჩაბარდა. ადვოკატს ახსნა-განმარტება არ წარმოუდგენია.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება

3.1 ადვოკატი ა. ბ არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/. ადვოკატის წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე იგი არ არის გარიცხული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.

3.2 მ. ნ-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2017 წლის 30 იანვარს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2016–2017 წლებში. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32–ე მუხლის მე–2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისათვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ა. ბ.-ს მიმართ ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

5. სამართლებრივი შეფასება

5.1 ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად: ,,დისციპლინური კოლეგია იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ: საჩივრის ავტორი, უარს იტყვის საჩივარზე (მიმართვაზე).“

5.2 2017 წლის 06 მარტს მ. ნ-მ წერილობით მომართა ეთიკის კომისიას და ადვოკატთან მორიგების გამო უარი თქვა საჩივარზე ადვოკატ ა. ბ.-ს მიმართ. შესაბამისად, საჩივრის ავტორის განცხადების საფუძველზე ადვოკატ ა. ბ-ის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე-4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-19–მე-20 მუხლებით, 31-ე მუხლით, 22–ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით, მე–40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №009/17 შეწყდეს დისციპლინური წარმოება ადვოკატ ა. ბ-ის მიმართ /სიითი №/.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /გია ტაბლიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ქეთევან უტიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ნინო მიქიაშვილი/